თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2675929

ნომერი: AR1412410

თარიღი : 13.06.2016

გაცემის თარიღი : 28.06.2016

გაცნობის თარიღი : 28.06.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N37-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სანდრო კახნიაშვილი პ/ნ 01005003531
- საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონში, რუსთაველის გამზ., №37

ორგანიზაცია:

- ცენტრ პლაზა კოდი: 204483335

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა დემონტაჟი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა

დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. N37–ის მიმდებარედ არსებული I კლასის შენობა-ნაგებობის დემონტაჟის შესაძლებლობის წერილობით დადასტურებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე სადემონტაჟო შენობა არ წარმოადგენს I კლასის შენობა-ნაგებობას, რომლის დემონტაჟის განხორციელებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას, და საჭიროებს დემონტაჟის პროექტის შეთანხმებასა და ნებართვის გაცემას.

იმისათვის, რომ სამსახურს მიეცეს დემონტაჟის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობა, საჭიროა დაარეგისტრიროთ შესაბამისი განაცხადი და ატვირთოთ სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.